ცნობის ფურცელი

№ 1776 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 სამშაბათი, 9 აპრილი № 1776

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

მღვდელი იროდიონ გურგენიძე და მარიამ იოანეს ასული გურგენიძისა აუწყებენ თვისთა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის ასული

სოფიოსას.

პანაშვიდები ყოველ-დღე 12 და 7 საათზე. დასაკრძალავად გამოასვენებენ დიდუბის ეკკლესიაში ხუთშაბათს, 11 აპრილს, დილის 9 საათზე. (2—293—1)

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი"
სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 5 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუღაევის სახლი.

ე ქ ი მ ი
ვახტანგ ლამბაშიძე
შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24 ტელეფონი № 642.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე; სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

ზ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274 (წლ.)

სტუდენტების დამხმარებელი საზოგადოება

ბევრს ეწვალა ჩვენი საზოგადოება, მაგრამ ქართველი სტუდენტების დახმარების საქმე ვერ მოაწყო და ვერ მოაწესრიგა. რამდენსამე წელიწადს ეს საკითხი დრო-გამოშვებით იხილებოდა გაზეთებში, კერძო კრებებზე და სხვა-და-სხვა კომისიებში, მაგრამ დაგვირგვინება არ ეღირსა. ბოლოს, როგორც მკითხველებმაც იციან, ერთმა კერძო კრებამ გადასწყვიტა და თხოვნით მიჰმართა „ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელის საზოგადოების" გამგე კომიტეტს თავის თავზე მიეღო ამ საქმისათვის ზრუნვა, მსურველთა დახმარებით გაეძლიერებინა ხსენებულ საზოგადოებაში არსებული სასტუდენტო თანხა და უფრო ფართოდ მოეწყო ამგვარ დახმარების საქმე.

ეს იყო და ეს. შემდეგ რა გაკეთდა ამ საქმისათვის, როგორ ასრულდა მთხოვნელთა წინადადება და რა მდგომარეობაშია ახლა ხსენებულ დახმარების საქმე სასკოლო საზოგადოების კომიტეტში,—ჩვენ არ ვიცით. ვფიქრობთ კი, რომ საქმე იმავ წერტილზე შეჩერდა და ქართველ სტუდენტების დახმარების საკითხი კვლავ საკითხად დარჩა... ათასჯერ გამოუთქვამს ქართულს პრესსას მწუხარება ამგვარ ინდიფერენტიზმის გამო და ჩვენ-ის-ღა დაგვრჩენია—ათას-პირველჯელ გამოვთქვათ ამგვარივე მწუხარება და საყვედური; ხოლო ჩვენის საზოგადოების იმ ნაწილის ყურადღება, რომელიც გულ-წრფელად მოწადინებულია შემწეობა გაუწიოს ჩვენებურ სტუდენტებს, მივაქციოთ სხვა საზოგადოებაზე.

სანამ ჩვენ ლაპარაკსა და პროექტების შედგენაში ვიყავით, ტფილისის რუსის საზოგადოების ერთმა ჯგუფმა შეიმუშავა სტუდენტების დამხმარებელის საზოგადოების წესდება, წარადგინა იგი სადაც ჯერ იყო და კიდეც დაამტკიცებინა; საზოგადოება შესდგა და აი, 17 აპრილს, პირველი საზოგადო კრებაც ექმნება ბიუროს ამოსარჩევად და საქმის დასაწყებად. ჩვენმა რედაქციამ ამ დღეებში მიიღო საზოგადოების დამფუძნებელთაგან წესდება და თხოვნა გავაცნოთ მკითხველთ საზოგადოების საგანი და სურვილი.

ჩვენს გაზეთში იმდენჯერ ყოფილა ლაპარაკი სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსების საჭიროების შესახებ, რომ მეტად მიგვაჩნია კიდევ ამაზე ბაასის გაგრძელება. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ საზოგადოებას საგნად აქვს დახმარება გაუწიოს კავკასიის ყველა სტუდენტებს, რუსეთის ყველა უმაღლეს სასწავლებელში მყოფ კავკასიელთ, განურჩევლად ეროვნებისა. დახმარება გამოიხატება სტიპენდიებისა და შემწეობის დანიშვნით. წევრად შეუძლია ჩაეწეროს ყველა თანამგრძნობელს, საწევრო გადასახადი სულ სამი მანეთია.

ყველამ კარგად ვიცით, რომ კავკასიელ სტუდენტთა შორის ყველაზე უფრო გაჭირვებული ქართველებია. ეს გარემოება გვავალებს, რაკი საკუთარ საზოგადოების დაარსება ვერ მოვახერხეთ, საერთო კავკასიელ საზოგადოებას ენერგიულად მივცეთ მხარი. საჭიროა, რაც შეიძლება, მეტი ქართველობა ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა ამით, ერთის მხრით, საზოგადოების საშუალება გაძლიერდეს, მეორეს მხრით, გავლენა ვიქონიოთ საზოგადოების საქმეების მსვლელობაზე. ჩვენ ყური მოვკარით აქა-იქ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმას: საჭიროა საკუთარი საზოგადოება დავიარსოთო, აწ დაარსებულთან რა საქმე გვაქვსო და სხვა. ამგვარი სჯა სრულიად უადგილოდ და უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. ჩვენ შეგვიძლია ცდა არ მოვაკლოთ საკუთარ საზოგადოების გახსნის საქმეს, მაგრამ გაუგებარია, რა გვიშლის უკვე დაარსებულ საზოგადოებასაც მივცეთ ხელი, ლავეხმაროთ და ამასთანავე ქართველ სტუდენტობაზე მივაქციოთ ყურადღება?! ჩვენის მხრით ვურჩევთ ქართველ საზოგადოებას—არ დაივიწყოს, რომ ამგვარ საქმეში განზე გადგომა დანაშაულობა იქნება ჩვენის მოზარდ თაობის წინაშე, რომელიც კარგა ხანია ამაოდ მოელის ჩვენგან წეს-რიგიანად საკმაო დახმარებას; ამიტომ საჭიროა მრავლად მივიდეს 17 აპრილის სხდომაზე და ჩაეწეროს საზოგადოებაში, რომელსაც ამასთანავე, ვუსურვებთ გაღონიერებასა და გამარჯვებას.

საზღვარ-გარედ

რუსეთი და საფრანგეთი. ბაღდადის რკინის გზაზე რამდენჯერმე იყო ლაპარაკი ჩვენ გაზეთში. მოყვანილი გვქონდა რუსეთისა და საფრანგეთის პრესსის აზრი ამ დიდმნიშვნელოვან საქმის შესახებ, რომელშიაც ასეთ მონაწილეობას იღებს საფრანგეთი. სამაგიეროთ აქამდე არა იყო-რა ნათქვამი რუსეთის უკანასკნელ სესხზე, რომელიც რუსეთის მთავრობამ გაინაღდა არა პარიზის ბირჟაზე, როგორც ეს აქამდე იყო ხოლმე, არამედ ბერლინისაზე, სადაც რუსეთის ფასიანი ქაღალდები დიდი ხანია არ განაღდებულა. მოგვყავს რუსეთის ფინანსთა სამინისტროს ორგანოს „ვესტნიკ. ფინანსოვის" სარედაქციო წერილი ამ საყურადღებო ფაქტის შესახებ.

„უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით გასულ შემოდგომაზე საფრანგეთის ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებში თავი იჩინა მეტად მკაფიო სურვილმა—აიხსნას ჩვენი (რუსეთის) პოლიტიკური დაახლოება საფრანგეთთან ფინანსიურ მოსაზრებებით.

ყოველ-გვარად, სერიოზულ წერილების ფორმითაც კი, იმეორებდნენ, ვითომც რუსეთი იმ მიზნით სარგებლობდეს საფრანგეთის სიმპატიით, რომ პერიოდულად ფულები იშოვოს პარიზის ბირჟაზე. ამგვარ ამბების საბუთად ხმარობდნენ არა მარტო უკვე მოხდენილ სესხებს, არამედ ყოვლად უსაფუძვლო ჭორებს რუსეთის მომავალ ფინანსიურ ოპერაციების შესახებ. როგორც კი რომელიმე ფრანგი ბანკირი პეტერბურგში ჩამოვიდოდა, ან რუსეთის ფინანსთა სამინისტროს მოხელე პარიზში წავიდოდა, მაშინვე ყოველის მხრიდან გაზეთებში გავრცელდებოდა ხმა რუსეთის ახალ სესხზე, დაიწყებდნენ ჩივილს იმაზედ, რომ რუსეთი სარგებლობს საფრანგეთის მეგობრობით, რომ იგი სისტემატიურად უცლის ჯიბეს წვრილ ფრანგ კაპიტალისტებს.

ბოლოს პრესსის ერთი ნაწილი იქამდე მივიდა, რომ ამგვარი მოსაზრებები გამოთქმული და დაკავშირებული იყო საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობის უშესანიშნავესს მომენტებთან (რუსეთის მეფე-დედოფლის საფრანგეთში წაბრძანება). რუსეთისა და საფრანგეთის ოფიციალური პრესსა, აგრეთვე სერიოზული გაზეთებიც, სცდილობდნენ დაემტკიცებინათ ასეთ ხმებისა და მოსაზრების სრული უსაფუძვლობა. ასეთმა ცდამ კიდევ უფრო აალაპარაკა პრესის ერთი ნაწილი და ახალი გამოგონილი მოსაზრებები გამოათქმევინა უნაყოფო იყო ისეთ პირების გადაჯერება, რომელნიც იმეორებდნენ გამოგონებულ, არ ყოფილ, ამბებს და სურდათ დაეჯერებიათ ისინი თავის ან რუსეთის მთავრობის მტრობით.

რასაკვირველია, გაზეთების ეს გამოლაშქრება ვერ შეარყევდა საფრანგეთ-რუსეთის კავშირის სიმტკიცეს. ეს კავშირი დამყარებულია არა მარტო ხალხების სიმპატიაზე, არამედ იმაზედაც, რომ იგი უზრუნველ ჰყოფს ორივე მხარეს ყოველგვარ შემთხვევებისაგან. როგორც რუსეთისთვის, ისე საფრანგეთისათვის ეს კავშირი აუცილებელი და სასარგებლოა ყოველგვარ პოლიტიკურ გარემოებებში (მცირე აზია, ბაღდადის რკინის გზა). მნიშვნელობა მისი იმდენად დიდია და საგრძნობელი ყველგან, რომ გაზეთის წერილები ვერ შეარყევენ მის მტკიცე საფუძველს.

მიუხედავად ამისა, გაზეთების აგიტაცია ვერ დარჩებოდა სრულებით უმნიშვნელო ფრანგ-რუსთა დამოკიდებულებისათვის. ერთის მხრივ შეუძლებელი იყო, რომ რუსეთის თავმოყვარეობას შეურაცხყოფად არ მიეღო პრესსის ერთი ნაწილის განუწყვეტელი მსჯელობა, ვითომც ჩვენ (რუსები) სხვების სიმდიდრის მძებნელი ვიყოთ. მეორეს მხრივ, საგაზეთო წერილების განუწყვეტელ წვიმას შეეძლო შეეგონებინა საფრანგეთის საზოგადოების სერიოზულ ნაწილისათვისაც, რომ რუსეთისათვის დახურულია ყველა ბირჟები, გარდა პარიზისა.

ბერლინის სესხმა, რომელიც ასე ბრწყინვალედ დამთავრდა რუსეთისათვის, ერთბაშად ახსნა ის, რაც, მიუდგომელ მეთვალყურესათვის, ისედაც ცხადი იყო", ე. ი. ის, რომ რუსეთს, გარდა საფრანგეთისა, სხვაგანაც შეუძლია ისესხოს მისთვის საჭირო ფული.

საფრანგეთი. მინისტრი მილიერანი, რომლის სამინისტროში შესვლამ დიდი კამათი და დავა გამოიწვია საფრანგეთის დემოკრატიულ პარტიაში, წარმომადგენელია პარიზის მე-XII-ე საარჩევნო ნაწილისა. მომავალ არჩევნების დროს მის წინაალმდეგ გამოდიან ნაციონალისტი პეშენი და გედისტი შოვენი (გედი მოთავეა იმ სოციალისტებისა, რომელნიც წინაალმდეგი არიან მათის პარტიის კაცის სამინისტროში შესვლისა). ამ დღეებში მილიერანმა სიტყვა სთქვა თავის ამომრჩევლების წინაშე. ზალაში ხალხი არ ეტეოდა, ხუთასზე მეტი კაცი ქუჩაზე დარჩა. მილიერანის სიტყვას კრება ალტაცებით მიეგება, ასე რომ მოწინაალმდეგეთა ყვირილი—„ძირს მილიერანი, გალიფესთან წავიდეს"-ო, არც კი ისმოდა. მილიერანის შემდეგ ლაპარაკი უნდოდა მის მეტოქე უკიდურესს სოციალისტს, მაგრამ მისი არა ისმოდა-რა. დასასრულ კრებამ 1500 ხმის უმეტესობით, წინაალმდეგ 200-სა, მილიერანის კანდიდატურა მიიღო.

✡ მელინმა,—რომელიც ამასწინად უარს ამბობდა რეაქციონერებთან კავშირზე,—ისევ გაუწოდა ხელი მათ. ამ დღეებში მელინმა სიტყვა სთქვა რიუოში (ვოგეზი). სხვათა შორის, მას უთქვამს: „იმათ, ვინც რეაქციონერებთან კავშირს მისაყვედურებს, ვუპასუხებ: მე არასოდეს არავისთან კავშირი არ შემიკრავს. მე ვიცავ ჩემს პროგრამას, ჩემს იდეებს. თუ სურთ, კონსერვატორები მოვიდნენ

ემთან. ისინი, ვინც გულწრფელად შეურიგდება რესპუბლიკას, ჩემთან ერთ საქმეს ემსახურებიან". მოწინავე დასების გაზეთები დასცინიან მელინს, რადგან მისი სიტყვის აზრი ის არის, „რომ მას არ სურს კავშირი იქონიოს კონსერვატორებთან, მაგრამ იწვევს მათ კავშირით შეეკრან მას".

რეაქციონური გაზეთები კი კმაყოფილნი არიან მელინის სიტყვისა და შემწეობას აღუთქვამენ მას.

ჩინეთი. ცნობილი სინოლოგი (ჩინურ ენისა და ისტორიის მცოდნე) პოპოვი, რომელიც დიდი ხანია პეკინში სცხოვრობს, „ვესტნიკ ევროპი"-ს უკანასკნელ ნომერში სწერს, რომ ჩინეთის საზოგადოების ერთმა ნაწილმა კარგად შეიგნო რეფორმების მოხდენის აუცილებელი საჭიროება და რომ მისი ცდა უნაყოფოდ არ ჩაივლის ჩინეთისათვის; ჩინელებმა გამონახეს ნამდვილი საშუალება უცხოელების თავიდან მოშორებისთვის, რომელნიც ასე სძულთ მათ და ასე ძვირად უჯდებათ.

„არც ერთ ქვეყანას არა აქვს იმდენი გამოუდეგელი მასალა ყოველგვარ საწარმოო და სამრეწველო მოქმედებისთვის, რამდენიც ჩინეთს; არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს ისე იაფი და ამოდენა მშრომელი ხალხი, არავის არა აქვს ასეთი ვრცელი შინაური ბაზარი. ასეთის ძალის პატრონს, თუ ჩინელები შეიგნებენ ერთობის მნიშვნელობას და ინტერესების შეთანხმებას, ვერავინ გაუწევს კონკურენციას და უცხოელი კაპიტალისტები, რომელთაც აქ კარგად მოიკალათეს, იძულებული იქნებიან აიკრან ბარგი, ან ჩინური ნაწარმოები გაავრცელონ უცხოეთის ბაზარზე. პირველ ნიშნად საქმეთა ახალ მიმართულებისა მე (პოპოვს) მიმაჩნია ისეთი პატარა საქმე, როგორც „სახელოსნო-სამრეწველო სახლია", რომელიც დააარსა პეკინში ერთმა ქველმოქმედმა. ამ „სახლის" დაარსების მიზანია, ერთის მხრივ, სამუშაო გაუჩინოს არეულობის გამო გადატაკებულ და უმწეოდ დარჩენილ ჩინელებს, მეორეს მხრივ, გააუმჯობესოს სხვა-და-სხვა წარმოება და შეუფეროს იგი უცხოელების გემოვნებას. ეს დაწესებულება სულ რამდენიმე თვეა, რაც არსებობს, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც წარმოებას დიდი წინსვლა დაეტყო; ამ სახლის ნაწარმოები არ ჰგავს იმას, რაც ჩვენ ერთის წლის წინათ გვინახავს ჩინეთში. ეს საქმე მით უფრო საყურადღებოა, რომ მას ბევრი მიმბაძველი გაუჩნდა ჩინეთის სხვა კუთხეებშიაც".

რაც შეეხება ინსტრუქტორებსა და ხელმძღვანელებსა — უმეტეს უგმაყოფილოდ „ნოვოე ვრემია", ამათი შოვნა ჩინელებს არ გაუჭირდებათ; იაპონელები ყოველ ღონეს ღონობენ ეს როლი მათ იკისრონ.

ნორვეგია. ამ დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს ორი სახელმწიფო ფონდი, ერთი მიწების საყიდლად, მეორე — სადგომების ასაშენებლად. ეხლა განზრახვა აქვთ შეაერთონ ეს ორი ფონდი და დააარსონ მიწად-მოქმედებისა და სადგომების ბანკი. ამ ბანკის ძირითადი თანხა იქნება $3^1/_2$ მილიონი კრონი, რომელიც ზემოხსენებულ ფონდებს ჰქონდა. ასეთის თანხის საშუალებით ბანკს შეეძლება გამოსცეს 20 მილიონის ობლიგაციები. ბანკის მოქმედება უნდა მდგომარეობდეს შემდეგში — იგი მისცემს სესხს 1) გლეხს ადგილის საყიდლად, და 2) ღარიბ ქალაქელს საკუთარ სადგომის შესაძენად. ხაზინის წლიური ხარჯი იქნება, როცა ბანკი მოქმედებას დაიწყებს, 100 ათასი კრონი. ახალი კანონი დაიწყებს მოქმედებას, პროექტით, 1903 წლის პირველ აპრილს.

ახალი ამბავი

◆ კვირას, 7 აპრილს. ტფ. თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში, ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის გენ.-მაიორის საგინაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა საზოგადო საგანგებო **კრება მაზრის თავად-აზნაურთა.** კრებამ პირველად განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიხმარონ უმაღლესად ბოძებული 40,000 მან. კრებამ განიხილა ამ საქმის შესახებ კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენება, მოიწონა იგი და გარდასწყვიტა აღნიშნული თანხა მოხმარდეს თავად-აზნაურთა მოზარდ ახალგაზდობის აღზრდის საქმეს ისე, რომ ერთი ნაწილი ამ ფულებისა მოხმარდეს უმაღლესს და საშუალო სასწავლებლებში თავად-აზნაურთა აღზრდას მუდმივ სტიპენდიებისა და დროებით შემწეობის დანიშვნით, ხოლო მეორე ნაწილით მოეწყოს პირველ დაწყებითი სკოლა თავად-აზნაურთა შვილებისათვისვე.

ამავე სხდომაზედ კრებამ განიხილა წინადადება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა იმის შესახებ, თუ რომელი დრო უფრო სასურველია გუბერნიის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ საზოგადო კრებისთვის. კრებამ ხმის უმეტესობით გამოსთქვა, რომ უკეთესი დრო გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების დასანიშნავად არის დეკემბრის თვე.

ამ დადგენილებათ თავის მოტივებით მაზრის აზნაურთა წინამძღოლი წარუდგენს ახლო მომავალში გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლს თავად-აზნაურთა საზოგადო კრებაზე განსახილველად.

◆ კვირას, 7 აპრილს, კრება ჰქონდა ტფილისის **დურგალთა ამხანაგობას** „შრომას", ა. ნ. ფურცელაძის თავმჯდომარეობით. კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში და 1902 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც ამხანაგობის მოხელეებზე გადადებულ უნდა იქნას 3960 მანეთამდე. კრება დასასრულ შეუდგა არჩევანს ამხანაგობის მოხელე პირებისას. გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბ-ნი ქურდიანი. გ. ბერძნიშვილი და ბ. გიგაური; სარევიზიო კომისიის წევრებად ბ. ტარიელიშვილი და ციბაძე, ხოლო დამფასებელ კომისიის წევრებად (იგივე გამგეობის წევრთა კანდიდატებია) ბ. ბ. ნაბიჭვრიშვილი, მაჭავარიანი და დვალიშვილი.

◆ ჩვენ გვატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრომ, რომელსაც აზრადა აქვს კავკასიაში დააარსოს **ღვინის მკეთებელთა სკოლა,** მისწერა თავის წარმომადგენელს კავკასიაში, აცნობოს მას თავისი მოსაზრებანი ამ სკოლის შესახებ და აგრეთვე ადგილი, სადაც უფრო საჭიროა ამგვარი სკოლა გაიხსნას.

◆ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ატყობინებენ ჩრდილოეთ კავკასიიდან, რომ როცა ანეული დათესეს, სიმშრალე იყო, ყანა რომ ამოვიდა, სიცივემ **სულ წაახდინა** და მხოლოდ ფესვებიღა დარჩა დაუზიანებელი, აგრეთვე დაემართა ხეხილებსაც, რომლებიც სულ დაჰყინა და წაახდინა. ასეთივე ამბები მოსდის საზოგადოებას საქართველოს ყველა კუთხეებიდანაც. სიცივეს ამ ბოლოს დროს ყველგან უჩივიან.

◆ მთავარმა სამხედრო სასამართლომ გაშინჯა საკასაციო საჩივარი ავაზაკის **ლორთქიფანიძის და იმის ამხანაგებისა,** და უყურადღებოდ დასტოვა საჩივარი, რაც აცნობა კავკასიის სამხედრო სასამართლოს, რომელმაც ეს განაჩენი წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ექვსს აპრილს გამოუგზავნა ტფილისის გუბერნატორს სამინისტროს ტეხნიკური კომიტეტისაგან შეცვლილი პროექტი **ტფილისის ელექტრონით განათებისა.**

◆ კვირას ავლაბრის ქალაქის მეორე სკოლის შენობაში სხდომა ჰქონდათ **მეორე რაიონის** ამომრჩეველთა კრებას ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალ არჩევნების გამო. სხდომას 50 კაცი დაესწრო, მათ შორის მაჰმადიანთა სასულიერო უწყების წარმომადგენელნიც. კრებამ გადასწყვიტა აირჩიოს კომიტეტი თექვსმეტი კაცისაგან, რომელთაც დაევალოს სიების შედგენა კანდიდატებისა და მათზე დაწვრილებით ცნობების შეკრება. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, მოილაპარაკეს, როგორ უნდა მოაწყონ საბჭოს ხმოსანთა მოქმედება, რომ მეტი გულშემატკივრობა და სიფხიზლე გამოიჩინონ ქალაქის გაუმჯობესობის და ნაკლებულობათა განდევნის საქმეში.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ, უკანასკნელს სხდომაზე, შაბათს, 6 აპრილს, განიხილა საკითხი **საარჩევნო სიების შესწორების შესახებ** და გარდასწყვიტა განკერძოებით იქნეს შედგენილი სია იმ პირთა, რომელნიც გამორიცხულ უნდა იქმნენ პირველად შედგენილ საარჩევნო სიიდან და დანარჩენნი შეტანილ იქმნეს საბოლოვოდ შესადგენ სიებში; ორივე სიები თითოეულ საარჩევნო ნაწილისა დაიბეჭდვინოს და წარუდგინოს განსახილველად ტფილისის გუბერნატორს. ამასთანავე გამგეობამ გარდასწყვიტა შეატყობინოს გუბერნატორს, რომ იმ პირთ, რომლებზედაც დარჩენილია გარდასახადი, ნება აქვთ მიცემული გარდაიხადონ დასაფასებელი გარდასახადი 22 აპრილამდე; მაშინ შეიძლება სრულიად გამოირკვეს ამომრჩეველთა კონტინგენტი და შედგენილ იქმნება საბოლოვოდ საარჩევნო სია.

◆ „ჩერნომ. ვესტნიკ"-ის სიტყვით, სოჩის ახლო, შავი ზღვის პირად, წელს აშენებული იქმნა **საავარაკო სადგური,** რომელიც რამდენისამე სასახლიდან შესდგება; ეს სასახლეები ეკუთვნიან: საერო განათლების მინისტრს გენ.-ადიუტ. ვანნოვსკის, სამხედრო მინისტრს გენ.-ლეიტ. კუროპატკინს, გრაფ ოსტენ-საკენს და სხვა წარჩინებულ პირთ.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ვიტებსკიდან ტფილისის სამოსამართლო პალატის ახლად დანიშნული წევრი **მ. ე. გიგიძე.**

◆ ტფილისის პოლიცმეისტერის წარდგენილებით, ტფილისის გუბერნატორმა **დააჯარიმა** ის სახლის პატრონები, რომელთაც თავის დროზე არ წარუდგინეს პოლიციის ცნობები საადრესო სტოლისათვის. სულ უკანასკნელი ჯარიმა 25 მანეთია.

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორებმა, ქალაქის სასწავლებელთა კომისიის ამორჩევის თანხმად, მასწავლებლების კანდიდატების წოდებაში **დაამტკიცა** შიუკაშვილი, მამულაშვილი და ქუკოვის ქალი.

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორმა აუწყა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის სკოლაში ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობაზე, გარდაცვალებულის თამარა ქუჩუკაშვილის მაგიერ იმან დანიშნა **ჭიჭინაძის ქალი.**

◆ ქალაქის გამგეობამ ქალაქის მეორე ღამის თავშესაფარისათვის დიდუბეში **იქირავა** ხუთის წლის ვადით სარაჯევის სახლი, გორის ქუჩაზე (დიდუბეში), წელიწადში 1,100 მანეთად.

◆ ქალაქის გამგეობას ამ დღეებში უნდა განეხილა **ელექტრონით მოძრავ ტრამვაის** პროექტი, მაგრამ, რადგანაც უსახელო საზოგადოების გამგეობას აქამდე არ წარუდგენია დახურულ ვაგონების პროექტი, ამიტომ იმის განხილვა შეჩერებულია.

◆ გზათა სამინისტრომ დაავალა კავკასიის გზათა ოლქის სამმართველოს, დიდი ყურადღება მიაქციოს **გზების გაკეთებას** და კარგად შენახვას, მეტადრე იმ ადგილებში, სადაც უფრო მეტი მოსახლეობაა მცხოვრებლებისა და მჭიდროდ დასახლებული ადგილებია.

◆ უმთავრესმა საინტენდანტო სამმართველომ მოსწერა კავკასიის საინტენდანტო სამმართველოს **შეადგინოს ისტორიული წერილი** ასი წლის შესრულების გამო მას აქეთ, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდან ამ მხარეში ეს უწყება დაწესდა.

◆ რვა აპრილს ქალაქის ლაბორატორიის გამგემ და ქალაქის ექიმმა გედალინმა დაათვალიერეს **საკანდიტეროები,** რადაც საალდგომოდ ტკბილეულობას და შაქრის კვერცხებს ამზადებენ. ბევრგან უვარგისი და მავნე საღებავი აღმოაჩინეს და, რასაკვირველია, წაალებინეს.

◆ მოგვივიდა ჟურნალ «მოგზაური"-ს მე-IV № შემდეგის შინაარსისა.

1) პირველ-ყოფილი ადამიანის გონებრივი მდგომარეობა ბ. კ—ისა; 2) მთიულთ მცხოვრებიდამ, ე. გუგუშვილისა; 3) კლარჯეთის აღწერა ზ. ჭ—ძისა; 4) ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა, ალ. ტატუნაშვილისა; 5) საქართველოს საეკკლესიო ისტორია, ილ. ფერაძისა.

◆ მოგვივიდა ივ. როსტომაშვილისავე გამოცემა „გამოსადეგი ცნობანი" №-4 შემდეგის შინაარსისა.

1) ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა ოჯახებსა და სკოლებში; 2) ადვილად შესწავლა გამრავლების ტაბულასი; 3) რეფორმატორნი სწავლა-აღზრდისა, ა. ტატუნაშვილისა; 4) რამდენ ნაირად შეიძლება გამოვიყენოთ რძე ჩვენს ოჯახებში, არჩილ დარეჯანიშვილისა; 5) გაზაფხულის ყინვები, გ. ლეჟურელისა; 5) საშინაო სამკურნალო გიმნასტიკა.

◆ გორის მაზრის ზოგიერთ სოფლებში გასულ მარტის განმავლობაში გამხდარან ავად: ყვავილით სოფელ ქვემო ახაბეტში — 5, სოფელ ახალდაბაში-4, სოფელ მიხაილოვში და ალში 11, მათ-შორის ერთი გარდაცვლილა: ქუნთრუშით-სოფელ ბოლის ხევში 8, მათ შორის 6 მორჩენილა და ორიც ავად არის; წითელათი სოფელ შულქცეულში გამხდარა ავად 9, მათ შორის 6 გარდაცვლილა 2 მორჩენილა, ერთიც ავად არის; სოფელ კავთის-ხევში გამხდარა ავად 8, მათ შორის 6 მორჩენილა და ორიც გარდაცვლილა. სოფელ ახალ ქალაქში გამხდარა ავად 20, ოცივე მორჩენილა; სოფელ ორმოცაში გამხდარა ავად 12, სოფელ დიდ ტერეთში 26, სოფელ დრეში გამხდარა ავად 15 მუცელათი, გამხდარან ავად სოფელ ბარში 4, ოთხივე მორჩენილა; სოფელ ტიმოთეს უბანში გამხდარა ავად 12, მათ შორის ერთი გარდაცვლილა, 7 მორჩენილა და ოთხიც ავად არის. სოფელ იგეთში გამხდარა ავად 4, ოთხივე მორჩენილა. რკინის გზის ტფ. საავამყოფოში გასულ მარტის განმავლობაში სხვა და სხვა ავადმყოფობით გარდაცვლილა 12 კაცი.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე, იოსებ ბენდიაშვილის სახლში მცხოვრების პარუნ-სარქისოვის სადგომი გაუტეხიათ, 5 აპრილს ღამით, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ და გაუტანიათ სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები სულ 374 მან. 50 კაპ. ღირებულობისა. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. გამოძიება სწარმოებს.

◆ 5 აპრილს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სასტუმრო „ზოლოტოი იაკორის" პატრონის კონსტანტინე შახბატოვისა, რომელსაც თავის ძმის სარქის შახბატოვის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა.

1901 წლის 26 იანვარს სარქისას კონსტანტინესთან სასტუმროში გაუგზავნია ექვთიმე დანიევი და უთხოვნია ცოტა ხნით 10 მან. მასესხეო. როცა უარი მიუღია, სარქისა თითონ წასულა; სასტუმროს კარებში მას დახვედრია კონსტანტინე რევოლვერით ხელში და უთქვამს: „აქედან მომშორდი, თორემ მოგკლავო". სარქისას უკან არ დაუწევია, ხოლო კონსტანტინე შახბატოვს ოთხჯელ უსვრია რევოლვერი და ორჯერ მოურტყამს ტყვია; ერთი თავში და მეორე მუცელში. ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩენილა. სასამართლოში გამოირკვა, რომ, როცა კონსტანტინეს თავის ძმის სარქისასათვის თუმნის სესხებაზე უარი უთქვამს, სარქისა მას სცემია ხელით და ამ დროს გამწარებულ ძმას კონსტანტინეს რევოლვერი უსვრია.

სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც უდანაშაულოდ იცნო კონსტანტინე შახბატოვი ძმის მოკვლის განზრახვაში, რევოლვერის გასროლა მიღებულ იქმნა თავის დაცვის საშუალებად და ამიტომ ბრალდებული გამართლებულ იქმნა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

შემახა, 7 აპრილი

გუშინ აქ ისევ მძლავრი მიწის-ძვრა მოხდა; დედა-მიწიდან საშინელი გრიალი ისმოდა.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ ოთხშაბათს, 24 აპრილს, დილის 10 საათზე ქუთ. თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დარბაზში, დანიშნულია საგანგებო კრება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურებისა. განსახილველი საგნებია: 1) საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული; 2) კომისიის მოხსენება ხარაზოვის სახლის შეძენის შესახებ და 3) სათავად-აზნაურო ბანკში თავად-აზნ. რწმუნებულების არჩევა 1902—1905 წლებისათვის, თანახმად ბანკის მე-79 §-ისა.

∽ ქალაქის მამულების იჯარით გასაცემად მეორე ვაჭრობა 20 მარტს იყო დანიშნული, მაგრამ ცოტა მოშორებითაა ქალაქზე ეს ადგილები და ამიტომ სამოსახლოდ ასაღებად არავინ გამოცხადდა. სამაგიეროდ თითქმის ყველა ამ დღეს სავაჭროდ დანიშნული ადგილები საყანეებად გაიცა. ამის მიზეზი კიდევ ის არის, რომ ეს ადგილები ქალაქის საყასბოს ირგვლივ არტყია.

სალორიას გარდა ქალაქს ტყიბულისაკენ მიმავალ რკინის გზის ტოტის ლიანდაგის ნაპირებზე კარგა ბლომად აქვს საკუთარი ადგილები. ქალაქის გამგეობას ბლომად მიუდის თხოვნები, რომ ეს ადგილები იჯარით გასცეს ქალაქმა მცხოვრებლებზე. როგორც შევიტყეთ, გამგეობაც წინააღმდეგი არ არის ამ სათხოვარის დასაკმაყოფილებლად და ამის მიხედვით საბჭოსათვის მოხსენებასაც დაამზადებს.

∽ გამგეობამ უკვე შეადგინა და გამოაქვეყნა კიდეც იმათი სია, რომ ლნიც წელს მოწვეულნი არიან სამხედრო ბეგრის ასასრულებლად. წელს გამოწვეულია ქუთაისის მცხოვრებთაგან სულ 206 ახალგაზდა.

∽ ეფემია და კოტე მესხების გასტრო-

ლები დასრულდა 4 აპრილს ეფემია მესხის საბენეფისო წარმოდგენით. საზოგადოება საკმაოდ ბლომად ესწრებოდა წარმოდგენებს. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

ამ მსახიობთა მონაწილეობით წარმოდგენილი იყო სულ ოთხი პიესა: „ტრილბი“, „ანდრიენა ლეკუვრერ“-ი, „მარგარიტა გოტიე“ და „ადიკო ყაზიანი“. წარმოდგენებმა კარგად ჩაიარეს და დამსწრე საზოგადოებაც ნასიამოვნები დარჩა.

~ ქუთაისის ქუჩებსაც ელირსება, ვგონებთ, რიგიანობა. გამგეობა შეუდგა ზოგი ქუჩის შეკეთებას—ქვიშასა და დატეხილ ქვას აყრიანქალაქის შიდა ქუჩებს და აგრეთვე გაბრიელის ქუჩასაც.

კარგია, თუ ბოლო გაატანეს!..

~ განსაკუთრებით მარტის ცხელმა დღეებმა მცხოვრებნი მეტად ჩააფიქრეს და მოსავლის იმედები შეუბოჭეს, მაგრამ დადგა აპრილი და მშვენიერი ჟუჟუნა წვიმა მოჰყვა. რა თქმა უნდა, ხმელ მიწას მეტად არგებს გაზაფხულის ტკბილი წვიმა.

დაბა-სოფლები

ს. დიდი-ჯიხაიში. მკითხველებს ელირსება, რომ აქ დიდის მეცადინეობით და გაჭირვებით ქსენონი დავაარსეთ. თვითეული ოჯახი ქსენონის შესანახად იხდის წელიწადში 2 მან. 70 კაპ. და ამ სასყიდლით სარგებლობს უფასო ექიმით, ფერშლით, ბებია ქალით და წამლით, როდესაც წინეთ თითოეული მოყვანა ექიმისა მახლობელ ქალაქებიდან ჯდებოდა არა ნაკლებ 10 მანეთისა.

იმის მაგიერად, რომ ასეთ სასიქადულო დაწესებულებას შევეწყოთ ხელი და ვეცადოთ დავაყენოთ იგი შეურყეველ ნიადაგზე, ადგილობრივ ინტელიგენციის წევრთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც უთვალ ღონისძიებას ხმარობენ მოსპონ ეს დაწესებულება სამარცხვინო იარაღის ხმარებით, რასაკვირველია, თავიანთ კერძო ინტერესებისათვის. თუ რომ საქმის მოთავენი მედგრად განაგრძობენ მოწინააღმდეგე პარტიასთან ბრძოლას და არ შეუშინდებიან მის შერცხვენილ, უთვალ საფუძველს მოკლებულ, ხელმოუწერელ საჩივრებს, რომლებიც არის გაგზავნილი სხვა-და-სხვა მთავრობასთან, ქსენონს არა დაუშავდება-რა.

შინაური

—

ს. აკეთი (გურია): ჩვენს სამკითხველოში ერთი უწესობა დამყარდა: ზოგიერთ წევრს უთვალდღიური გაზეთის №№ მიაქვს სახლში წასაკითხად და სხვებს უგაზეთოდ სტოვებს. ამ გარემოებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ბიბლიოთეკის საზოგადოებამ და დაადგინა ახალი გაზეთი არავის მიეცეს სახლში წასაღებად; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ამ დადგენილებას ჯეროვნად ვერ ასრულებენ. სასურველია, ამ უწესობას ბეჯითი ყურადღება მიექცეს *).

ქალაქის საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა კრება

კვირას, 7 აპრილს, ნოტარიუსის მღებროვის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა საზოგადო კრება ტფ. საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა: არა ჩვეულებრივიც და მორიგიც. კრების გახსნისათანავე რწმუნებულნი შეუდგნენ გარჩევას გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შორის აღძრულ სადაო საკითხისას გამგეობის თავმჯდომარის არჩევნების შესახებ.

გამგეობის თავმჯდომარის ანტონ ყორღანოვის გარდაცვალების შემდეგ გამგეობას მსჯელობა ჰქონია თავმჯდომარის არჩევის შესახებ; გადაჭრით ამის შესახებ წესდებაში არა არის-რა ნათქვამი. წესდების მე-46 §-ში ნათქვამია „თავმჯდომარის ავადმყოფობისა ანუ დროებით სადმე წასვლის გამო მის თანამდებობას ასრულებს არჩევანით უფროსი დირექტორიო“. გამგეობას ე. ი. გ. ტერ-ასტუროვს და ვ. ყორღანოვს (თავუზოვი არ დათანხმებულა მათს განაჩენზე) ისე დაუდგენიათ, რომ, ვიდრე განსვენებულ ა. ყორღანოვის სამსახურის ვადა არ დასრულდება, მისი თანამდებობა უნდა აღასრულოს უფროსმა დირექტორმა ბ-ნმა ტერ-ასტუროვმა. ზედამხედველი კომიტეტი ამ მოსაზრებაზე არ დათანხმებულა და გარდაუწყვეტია, რომ ტერ-ასტუროვმა თავმჯდომარის თანამდებობა აღასრულოს რწმუნებულთა პირველ საზოგადო კრებამდე და მაშინ კი უნდა მოხდეს თავმჯდომარის ხელ-ახალი არჩევანიო. გამგეობა ამ საკითხის გარდასაწყვეტად პირდაპირ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიას შეჰკითხებია: განგვიმარტეთ, როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაშიო. საკრედიტო კანცელარიას უპასუხნია, რომ ამის შესახებ მოხსენება რწმუნებულთა საზოგადო კრებისათვის წარედგინა განსახილველადო.

გამგეობის ასეთმა მოქმედებამ და ზედამხედველ კომიტეტის დადგენილებამ დიდი კამათი გამოიწვია დამსწრე რწმუნებულთა შორის. უმრავლესობა თანახმა გაუხდა კომიტეტის მოსაზრებას გამგეობის დადგენილების გაუქმებისა და ამავე კრებაზე არჩევნების მოხდენის შესახებ. ბოლოს კრებამ მიიღო შემდეგი წინადადება: თანახმად ზედამხედველ კომიტეტის დადგენილებისა, გამგეობის თავმჯდომარის არჩევანი უნდა მოხდეს პირველ საზოგადო კრებაზე.

შემდეგ კამათი გამოიწვია წინადადებამ: ამ კრებაზედვე აერჩიათ თავმჯდომარე თუ გადაედვათ სხვა დროისათვის. კარგა ხანს მოლაპარაკების შემდეგ კენჭი უყარეს ორს წინადადებას: თავმჯდომარის არჩევანი მოხდეს დღესვე და არჩევანი გადადებულ იქნეს 28 აპრილისათვის. კრებამ 29 ხმით, წინააღმდეგ 25 ხმისა, მიიღო უკანასკნელი წინადადება.

შემდეგ დაიწყო წლიური კრება. შეუდგნენ გამგეობის 1901 წლის მოქმედების ანგარიშის განხილვას. როგორც ანგარიშიდან სჩანს, წლის განმავლობაში სესხი გაუციათ 254 მამულზე, ახლად სულ 4.207,300 მან. დამატებითი—45 მამულზე—213,100 მან., სულ გაუციათ 299 მამულზე სესხად 4,420,400 მან. დროზე გარ დასახადის შემოუტანლობისა გამო წლის განმავლობაში საჯარო ვაჭრობით ჩაუგდიათ 40 მამული, რომლებზედაც თავნი ვალი ყოფილა 495,506 მან. 43 კ. და ვადიანი გარდასახადი 22,874 მან. 33 კ. სულ 58,380 მან. 76 კ., გაუყიდით აუღიათ 814,777 მან. საზოგადოებაზე მამული არ დარჩენილა, ხოლო 1900 წლის დარჩენილი ჯანქარაშვილის მამული გაუყიდნიათ და უზარალნიათ 2,030 მ. 31 კაპ. ამ ჟამად აქვს საზოგადოებას ზიადოვის მამული თავნი ვალით 5637 მან. 24 კაპ. (ამ მამულზე საკრედიტო საზოგადოებისა და ტფილისის სათავადაზნაურო სადგილ-მამულო ბანკის შორის დავაა გამართული). სათადარიგო თანხაში საზოგადოებას ამა წლის 1 იანვრისათვის აქვს 502,035 მან. 43 კაპ., იმ მამულის ფასს გარდა, რომელიც საზოგადოებას აქვს პუშკინის ქუჩაზე. წმინდა მოგება დარჩენია საზოგადოებას 72,945 მან. 18 კაპ. 1900 წელზე 16,994 მან. 56 კაპ. ნაკლები. საანგარიშო წელს წინა წელზე 2,142,000 მანეთით მეტი სესხი გაუცია.

ანგარიში სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ დამტკიცებულ იქმნა შეუცვლელად. კრებამ აგრეთვე დაამტკიცა მიმდინარე წლის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც გადადება საზოგადოების სხვა-და-სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სულ 69,975 მან., ამ რიცხვში ის 2300 მან., რომელიც უნდა დახარჯონ ახალ სადგომის მოსაწყობად.

კრებამ მოსამსახურე პირთა საჩუქრად წმინდა მოგებიდან გადასდვა 6,000 მანეთი. უკვე ნაშუადღევის 4 საათი შეიქნა და ამის გამო დანარჩენი საქმეების განხილვა და არჩევნები გადაიდო 28 აპრილისათვის.

ფარმაცევტთა ამხანაგობის კრება

—

კვირას, 7 აპრილს, ექიმის ს. ი. ვაწაძის თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადო კრება საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობისა. პირველად განხილულ იქმნა საზოგადოების წარსული წლის მოქმედების ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ ამ ჟამად საზოგადოებას ჰყავს 147 წევრი, რომელთაც შეუტანიათ უკვე 11,235 მან. და მათზე შემოსატანი გარდასახადია კიდევ სულ 3155 მან. (ანგარიშიდან ამ დღეებში უკვე გვქონდა მოყვანილი ცნობები და აქ აღარ გავიმეორებთ). ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ კრებამ ანგარიში დაამტკიცა. შემდეგ კრება შეუდგა გასავალ ხარჯთ-აღრიცხვისა და ამხანაგობის წესდების შეცვლის შესახებ საკითხების განხილვას.

წესდების ზოგიერთ მუხლების ძალით, შეუძლებელი ხდება ამხანაგობის გაფართოვება მეტის წევრის მიღებით. ამასთანავე კრებაზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ამხანაგობის ფარმის ბ-ნ ილ. ალხაზიშვილის წინადადებამ: დაწესებულ იქმნეს ამხანაგობის მეთაურთა დასახმარებლად განსაკუთრებული საბჭო, რომელიც შესდგებოდეს რამდენიმე წევრებისაგან.

კარგა ხანს კამათის შემდეგ, კრებამ თითქმის ერთ ხმად მიიღო ბ-ნ ალხაზიშვილის წინადადება და გარდასწყვიტა ამორჩეულ იქმნეს საბჭოს წევრებად 10 კაცი, რომელთაც დაევალა ამხანაგობის წესდების გადასინჯვა და მის შესასწორებლად პროექტის შედგენა, მიმდინარე წლის გასავალ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და დამტკიცება და განსაკუთრებით ამხანაგობის საქმეთა საწარმოებელ-გასაფართოვებლად საჭირო თანხის მოპოვება. კრებამ აგრეთვე გარდასწყვიტა გაფართოვებულ იქმნეს ამხანაგობის საქონლის საწყობი; გადაიტანონ ამხანაგობის მაღაზიის განყოფილება, რომელიც მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე, სხვა უკეთეს ადგილზე, გააფართოვონ და გაავსონ იგი მოთხოვნილებისა დაგვარად საჭირო სავაჭრო საქონლით. კრების დასასრულ შეუდგნენ არჩევანს ამხანაგობის საბჭოს წევრებისას. წევრებად არჩეულ იქმნენ: მედიცინის დოქტორი სპირ. იოსებ. ვაწაძე, თავ. ს. რ. ვახვახიშვილი, ნაფიცი ვექილი თავ. გ. ნ. დიასამიძე, კნ. სოფიო დ. დიასამიძისა, ექიმი დავ. ა. გედევანიშვილი, დ. დ. ჯუმუხაძე, ა. ი. დეკანოზიშვილი, პროვიზორი ივ. მ. შნეიდერი, ს. ი. ფორაქაშვილი და პეტ. ი. ყიფიანი.

წერილი სვანეთიდან

—

ზამთრისაგან გულ-გატეხილი და შეშინებული სვანები გაზაფხულის პირველმა თვემ—მარტმა—ცოტათი გაამხნევა და შეაგულიანა; ვის ეგონა იმ უზარმაზარის თოვლის კლდეების შემდეგ, თუ მიწას მალე იხილავდა. მაგრამ მარტის მშვენიერმა მზიანმა დღეებმა ერთიანად და უცბათ დაუბნია დავთარი ზამთრის სისუსხეს: თოვლი წუღად აქცია, დედა-მიწა ცას მიასალმა და აი, ამ დღეებში ვიხილავთ მცენარეების გაშლა-გაფურჩქვნასაც. თუ აპრილმა არ გვიღალატა, ვგონებთ, ავცდით შიშს შინაურის პირუტყვის სრულიად ამწყვეტისას, რაიცა აუცილებელი იყო საკვების გამოლევის გამო. „ორიოდე გროშის“ მოსაგებლად დასავლეთ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში გადაფანტულნი სვანები ბრუნდებიან, მაგრამ წლევანდელს საშოვარს მაინცა და მაინც არ ემადლიერებიან.

გასულ წელს მთელს სვანეთს შიშის ზარს სცემდნენ ციმბირიდან გამოქცეულნი ავაზაკები—სვანები, მაგრამ მათ ფარფაშობასაც ბოლო მოუღო. ბელადი მათი ნესტ. ჟორჟოლიანი გასულ წელს დაიჭირეს. დარჩა ორი, მაგრამ ამასაც მოაკლდა: მარტის პირველ რიცხვებში ერთი მათგანი—ფ. შარაშიძე დაიჭირეს სოფ. კალაში; დაჭერის დროს მოჰკლეს ერთი დარაჯი.

ქრისტ. აღმად. საზოგადოებას სვანეთში აქვს დაარსებული შვიდი სკოლა. ერთ-ხანს ამ სკოლების საქმე კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ჟამად თან-და-თან უკან მიდის. წლეულს, მაგალითად, სამ სკოლაში სრულიად შეწყვეტილია სწავლა, რადგან მასწავლებელი არა ჰყავთ. როგორც გავიგეთ, დანარჩი ოთხი სკოლის მასწავლებელნიც არ აპირებენ დაბრუნებას მომავალ სამოსწავლო წელიწადში... ფრიად სამწუხარო ამბავი იქნება, თუ მართლა აგრე მოხდა.

მკვიდრი.

წერილი გურიიდან

ოზურგეთში, 4 აპრილს, დამით, ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა კინაღამ უბედურება დაატრიალეს. აქაურის მცხოვრების ქალაქის ხმოსნის კაპიტნის ესტატე ხ—ძე ანთაძის სახლის ქვეშ დააწყვეს ნავთ-გადასხმული თივა და ორი გირვანქა თოფის წამალი (ფუთით). ბოროტ ხელს მოუკიდებია ცეცხლი თივისათვის და თითონ დამალულა. როცა პირველმა ფუთმა იფეთქა, სახლში მყოფ კაპიტნის ცოლს გამოეღვიძა და გარეთ გამოვარდნისას მეორესაც უფეთქნია, თან ცეცხლი მოსდებია იატაკს ქვეშიდან. საბედნიეროდ, უოვლივე მშვიდობით გადაარჩინეს. ბოროტმოქმედი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ, არც მიზეზი იციან, რამ აიძულა.

ს. შემოქმედში, 3 აპრილს, დამით, გასტეხეს რკინის კეტით სიდ. გორგაძის დუქანი. ქურდებს წაუღიათ 70 მან. ფართლეული, მაგრამ, რაკი ფული ვერ უპოვნიათ (თუ არ უპოვიათ), გაჯავრებულან და გარედან დუქნის პატრონი დანძლვაგინებით მოუხსენებიათ და არხეინად გზას გასდგომიან. ქურდები ჯერაც ვერ აღმოუჩენიათ.

უცხოეთის წვრილი ამბები

ინგლისელთა სიმკაცრე. გაზეთ „ავტორიტე“-ში მოთავსებულია გენერალ დელარეის მოხსენებიდან ამოღებული ცნობა ინგლისელი ჯარების სიმკაცრის შესახებ.

„ომის დაწყებისათანავე, ნათქვამია ამ მოხსენებაში, ინგლისელები იჭერდნენ ჩვენს ცოლებს სოფლებში და ფერმებზე და გზავნიდნენ სხვა და სხვა რაზმებში. როდესაც ჩვენ ბანაკები გავმართეთ ჩვენის ცოლების და შვილებისთვის, მტერმა შეცვალა თავის მოქმედება. მაშინ ჩვენი ცოლები ტყვედ მიჰყავნდა.

მტერი სწვავდა ყველაფერს, რაც კი შეეძლო. ინგლისის რაზმებს თან მიჰყავნდათ დედაკაცები და რომ დაღამდებოდა, ბანაკის სადარაჯოს წინ აწვენდენ, რომ ის წყეულები დაეფარათ, თუ ვინიცობაა, ჩვენ მოულოდნელად დავეცემოდით თავს.

მაგრამ ბურთა ქალები, ხედავდენ რა, როგორ ექცეოდენ იმათ ინგლისელები, გარბოდენ ხოლმე, როდესაც იმათ მოახლოვებას შეიტყობდენ. კეთილშობილი ბრიტანიელები მაინც არ შედრკებოდენ ხოლმე, რომ დედაკაცებთან ჰქონდათ საქმე, და გაქცეულებს უშენდენ ზარბაზნებს და თოფებს.

ჩვენი ცოლების უმეტესი ნაწილი, რომლებიც კი მოახერხებდენ და თავს დააძვრენდენ ინგლისელებს, ხელ-ახლად ჩაუცვივდებოდენ ხოლმე ხელში ინგლისელებს, რომლებიც გზავნადენ იმათ ქალების ბანაკში.

ჩემი საკუთარი ცოლი, ამბობს დელარეი, იძულებული იყო, ლორდ მეტუენის ბრძანებით, დაეტოვებინა თავისი სახლ-კარი და ბედის ანაბარად დაეგდო თავისი ქონება.

აი, თორმეტი თვე სრულდება, რაც ჩემი ცოლი თავის ექვსი წვრილის ბავშვით დაძრწის უბინაოდ.

დედა ჩემი, ოთხმოცდა სამის წლის მოხუცებული ინგლისელებმა ტყვედ წაიყვანეს და კლერკსდორპში გაგზავნეს. მთელი საქონელი წაართვეს იმას და, სახლი გადაუბუგეს“.

* *

სრული წლოვანება ესპანიის მეფის ალფონსისა. მაისის დამდეგს ესპანიის ნორჩი მეფე ალფონს მეცამეტე სრული წლოვანი ხდება და, შემდეგ ფიცის მიღებისა სახელმწიფო კანონების ერთგულებაზე, შეუდგება დამოუკიდებლად სახელმწიფოს მართვა-გამგეობას.

ამ დიდებული დღესასწაულისთვის დიდი შემზადება აქვს როგორც მთელ ესპანიას, აგრეთვე იმის სატახტო ქალაქ მადრიდს.

მეფე ალფონსი ფიცს მიიღებს 17 მაისს კონგრესის სასახლეში, რომელსაც ამ ჟამად ალამაზებენ და ამშვენიერებენ, აგრეთვე შემუშავებულია ლიტანიის ცერემონიალი, რომელიც მადრიდის უმთავრესს ქუჩებზე და მოედნებზე გაივლის და გაემართება სამეფო სასახლისკენ და კონგრესის შენობისკენ. საღამოთი სასახლეში გაიმართება დიდებული ნადიმი უცხოელ სამეფო სახლების წარმომადგენელთათვის, რომლებიც მოწვეულნი არიან ამ დღესასწაულზე დასასწრებლად. მოელიან: დედოფალ იზაბელას, როგორც მეფე ალფონსის დიდ-დედას, ერცჰერცოგს ევგენის, დედოფალ კრისტინას ძმას, რუსეთის წარმომადგენლებს, ავსტრ-უნგრეთისას, გერმანიისას, ინგლისისას, იტალიისას, შვეციისას, ბელგიისას და სხვა სახელმწიფოთა. სპარსეთიდან მოვა რიზა—ხანი, იაპონიიდან პრინცი კომატსუ, სიამის მემკვიდრე პრინცი, ჩინეთის წარმომადგენელი, შეერთებული შტატებისა და სხვა.

ესპანიის სამეფო სახლი და მართებლობა ეხლა იმის ფიქრშია, სად მოათავსონ დიდებული და საპატიო სტუმრები, რომლებისთვისაც სამეფო სასახლე არა კმარა. ამის გამო სახელმწიფომ დაიქირავა უმთავრესი სასტუმროები.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 აპრილი

პეტერბურგი. საიმპერატორო საზოგადო წიგნთსაცავის დირექტორი გენერალი შილდერი გარდაიცვალა 6 აპრილს.

ვარშავა. თევზის მოშენების საზოგადოების ვარშავის განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა, რომ პოლონეთში არსებული კანონები სახაზინო სათევზე წყლების შესახებ კერძო წყლებსაც შეეხებოდნენ.

ოდესა. მოვიდა გემი „პრინცესა ვიქტორია-ლუიზა“ მოგზაურებით, მათ შორის ბაქტერიოლოგი ბერინგიც არის. დღეს გემი კონსტანტინეპოლში მიდის.

მოსკოვი. არქიმანდრიტმა ამფილოხმა, რომელიც დიდ ხანს აღმოსავლეთის მისიას უდგა სათავეში, შესწირა სახელოვნო-სამრეწველო მუზეუმს აღმოსავლეთის იშვიათი ნივთები.

---

*) წერილის გამომგზავნელნი გვთხოვენ—ჩვენი აზრი გამოვთქვათ ამის შესახებ. ეს მეტი უნდა იყოს, რადგან ცხადზე უცხადესია, რომ პერიოდული გამოცემანი სამკითხველოში უნდა იყვნენ უთუოდ. ასეა ყველგან, სადაც ცოტად თუ ბევრად წესიერი ბიბლიოთეკა არსებობს. გაზეთების წაღება სახლში შესაძლებელია მიღებიდან მხოლოდ ერთის კვირის შემდეგ, ჟურნალისა კი მიღებიდან ერთის თვის შემდეგ. **რედ.**

ლონდონი. ის ამბავი, ვითომცა ბურების დელეგატებმა მოლაპარაკება ინგლისელთა თაოსნობით აღძრეს, მართალი არ არის. დელეგატები თავის მოსაზრებით მოქმედებდნენ.

სევასტოპოლი. გაუქმებულ სახელოსნო გამგეობის ქონებით არსდება შრომის მოყვარეობის საზოგადოება.

მიტავა. ხელოვნების დამხმარებელი და გამავრცელებელი საზოგადოება მართავს აქ სურათების გამოფენას.

პეტერბურგი. კოლომნიდან, მოზირიდან, კამიშოვიდან, ვლადიმირიდან, სემიპალატინსკიდან, ვიატკიდან, მურომიდან, ბაქოდან და კამენეც-პოდოლსკიდან იტყობინებიან, რომ პანაშვიდები გადაიხადეს მინისტრის სიპიაგინის სულის მოსახსენებლად.

კიევი. უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საერთო სახლის აშენება საერო განათლების სამინისტრომ აღრეულად სცნო. უნივერსიტეტის მმართველობამ ეს გადაწყვეტილება აცნობა ქალაქის თავს, რადგანაც ქალაქმა ამ სახლის ასაშენებლად ადგილი დაუთმო.

7 აპრილი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა სასახლეში იგლოვონ ოც-და ოთხი დღე, ესპანიის მეფედ ნამყოფის ფრანცისკის დე ასიზის გარდაცვალების გამო.

შავი ჭირის მხრით საშიშრად აღიარეს ქალაქები პერნამბუკო ბრაზილიაში და ალექსანდრია—ეგვიპტეში.

ოფიციალურის ცნობებით, ქალაქ გლაზგოში 15-დან 21 მარტამდის ავად გახდა ყვავილით 126 კაცი.

6 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო სამინისტროს შენობაში სამინისტროს უმაღლესი მოხელენი. შეაქო-რა განსვენებულის მინისტრის სიპიაგინის დამსახურება, პლევემ სთქვა: „მშვიდობა იმ კაცის ცხედარს, რომელმაც დაგვიტოვა საგულისხმიერო მაგალითი იმისა, თუ როგორ ფართოდ და შეურყევლად უყურებდა თავის მოვალეობის აღსრულებას. დავიჭირე-რა იმის ადგილი, უზენაეს შევსთხოვე, მომცეს ზნეობრივი ძალი, მივსდიო ამ მაგალითს. ისტორიული აზრი ჩვენის დროებისა ისეთი ღრმაა, საზოგადო მოვლენათა მნიშვნელობა, რომელშიაც ეხლა ჩვენა ვსცხოვრობთ, ისეთი დიდია, რომ ამისთვის საჭიროა არა სიტყვა, არამედ საქმე ჩვენდამი მონდობილს სახელმწიფო საქმეში. გიწვევთ თქვენ მოსაზრებულს, საკეთილო და მშვიდ სამუშაოზე; ვითხოვ პატიოსანს და გაგებულს თანამშრომლობას“.

მოსკოვი. ბრომლეის გემის-საშენებელი ქარხნის ოთხი სახლი დაიწვა მთელი თავის მასალით.

ვარშავა. პეტერბურგიდან მოვიდა გენერალ-ადიუტანტი ჩერტკოვი.

კონსტანტინეპოლი. პორტამ მოითხოვა ბოლგარიის ეპისკოპოსის სინეზის გამოწვევა იმის გამო, რომ ის აჯანყებდა ხალხს ფირმილიანის წინააღმდეგ.

გროდნო. „გროდნოს ვედომოსტები“ იუწყებიან, რომ უმაღლესი მადლობა გამოეცხადათ სასულიერო წოდების, თავად-აზნაურობის, მოხელეთ და სხვა-და-სხვა წოდების წარმომადგენელთ, რომელთაც განაცხადეს უქვეშევრდომილესი გრძნობანი გროდნოს გუბერნიის ასის წლის არსებობის გამო.

ბიისკი. 1901 მოუსავლიან წელს ბიისკის და ბარნაულსკის მაზრებიდან გაიტანეს 348,232 ფუთი კარაქი.

გონკონგი. კანტონიდან მოსულის ცნობებით, აჯანყებულები ნანინგს გარს შემოერტყნენ. ქალაქი იმათ ხელშია. ტელეგრაფის მავთულები გადაჭრილია.

ბუდაპეშტი. გარდაიცვალა ვაჭრობის მინისტრი გორანსკი.

პრეტორია. ბურების სარდლები წავიდნენ ბრძოლის ველზე ბურებთან მოსალაპარაკებლად.

ბერლინი. ლონდონიდან და ამსტერდამიდან ავრცელებენ სრულიად სხვა შეხედულებას მოლაპარაკების შეწყვეტაზე სამხრეთ-აფრიკაში. ლონდონში საქმის მდგომარეობას უყურებენ ოპტიმისტურად; ბურების მომხრე წრეებში ჰოლანდიაში, პირიქით, ირწმუნებიან, რომ მოლაპარაკება სრულიად შესწყდა.

პეტერბურგი. „ნოვ. ვრ“. იტყობინება, რომ, რადგანაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მოძრაობა გაძლიერდა, მატარებლებს მეორე კლასის ვაგონებიც ემატებაო.

„ნოვ. ვრ“. იტყობინება, რომ ნება დართულია 25 აპრილს მოიწვიონ სატარიფო კრება, რომელსაც დაესწრებიან: რუსეთის ყველა რკინის გზების, ბირჟის კომიტეტების და ფინანსთა და გზათა სამინისტროების წარმომადგენლები.

გრეიცი. გარდაიცვალა მთავარი ჰენრიხ XXII რეისსი.

პეტერბურგი. იუსტიციის მინისტრი პეტერბურგში დაბრუნდა. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი გენერალი ბობრიკოვი ჰელსინგფორსში წავიდა.

ეკატერინოსლავი. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ევარნიცკიმ შესწირა აქაურ მუზეუმს არქეოლოგიური კოლექცია. ევარნიცკი დასთანხმდა ამ მუზეუმის დირექტორობაზე.

კრონშტადტი. ყინულის მჭრელი გემი „ერმაკი“ პეტერბურგში წავიდა. ყინულის მჭრელი გემები გზას იკაფავენ ორანიენბაუმისკენ.

სიმბირსკი. ალატირი დღესასწაულობს ქალაქის დაარსების დღეს; ალატირი დააარსა 1552 წელს იოანნე მრისხანემ, როდესაც საომრად მიდიოდა ყაზანზე.

ვარშავა. რადომის სამეურნეო ამხანაგობა შუამდგომლობს, დაერქვას მას სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სახელი.

ვილნა. ნება დაერთო, ვილნაში გამოვიდეს უფასო „განცხადებათა ფურცელი“.

პეტერბურგი. სტავროპოლიდან, სარატოვიდან და ურალსკიდან იტყობინებიან, რომ პანაშვიდები გადაუხადეს მინისტრ სიპიაგინს.

ჰააგა. დედოფალმა ღამე კარგად გაატარა. ცხელება ჩვეულებრივ მიმდინარეობს.

ბრიუსელი. მუშათა საზოგადო საბჭომ გადაწყვიტა მომავალ კვირიდან მუშაობა დაიწყონ.

რადომი. მრეწველთა კასსამ 140 მანეთი კი არა, 1,400 მანეთი გადასდო ამ წელს საკვირაო სამხატვრო სკოლის შესანახად ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლისათვის.

8 აპრილი.

პეტერბურგი. 7 აპრილს რუსეთის ბიბლიოგრაფიული საზოგადოების ბეჭდვითი საქმის, ლიტერატორების და მეცნიერების კრებაზე აირჩიეს კომიტეტი რუსეთის პრესის 200 წ. იუბილეის გამართვისათვის. კომიტეტში აირჩიეს: სტასულევიჩი, სლუჩევსკი, ნოტოვიჩი, მიხაილოვსკი, სუვორინი, შუშინსკი, გრუზდევი, ლეიკინი, პოპოვიცკი, თავ. უხტომსკი, კოროლენკო, ფედოროვი, სირომიატნიკოვი და დუბროვინი; კანდიდატებათ: ფამინტინი, ვეინბერგი, კომაროვი და ხუდეკოვი.

პანნოვერი. აკურთხეს ძეგლი გენერალ როზენბერგისა, კურთხევას დაესწრო იმპერატორი ვილჰელმი, რომელმაც სხვათა შორის უთხრა დამსწრე სამხედრო პირთ: „თუ გავიხსენებთ როზენბერგის ცხოვრებას, ჩვენ შეგვიძლიან დავწეროთ მისი სამახსოვრო სიტყვა, რომელსაც მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის მომავალში, სახელდობრ—„შეგნებული მიზანი“ და „შეკრებილი ძალა“. ბრანდებურგის გრანიტიდან გამოქანდაკებულია გენერალის სახე; იზრუნვეთ ამ გრანიტის დაცვაზე, რომელიც ნაწილია ჩვენი კავალერიის, მიეცით უკანასკნელს ისეთი ძალა, რომ მედგრად შეიძლოს მტრის შემუსრვა“.

რიაზანი. „რიაზანის საგუბერნიო უწყებებში“ დაბეჭდილია, რომ დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა საპატიო ნიშნებით დააჯილდოვა გუბერნატორი გორიანჩანიკოვი ნაყოფიერ და ხანგრძლივ სამსახურის გამო.

ადესა. პროფესორ ლეიდენის იუბილეი იდღესასწაულეს.

კიევი. ჩამოვიდა გზათა მინისტრი.

მოსკოვი. დღეს მოხდა მესამე კრება მოსკოვის სალიტერატურო საზოგადოებისა, გოგოლის და ჟუკოვსკის მოგონებისათვის.

მოხუცებულ არტისტების დამხმარებელმა საზოგადოებამ მიიღო ავერიანოვისაგან სახლი, ღირებული 40,000 მანეთად. ამ სახლში საზოგადოებამ არტისტებს თავ-შესაფარი უნდა ააშენოს, მაქშეევის სახელობაზე.

მოსკოვის ბანკის აქციონერთა კრებამ, რომელსაც წელს 388,364 მანეთი მოგება ჰქონდა, დაადგინა აქციაზე 16 მ. დივიდენდი.

ბერლინი. საქალაქო ადმინისტრაციის, უცხოელ და გერმანელ ექიმების და სხვა მეცნიერთა წარმომადგენელთა თანადასწრებით იდღესასწაულეს პროფესორი ლეიდენის იუბილეი.

იაკობიმ გამოაცხადა, რომ ადესის უნივერსიტეტი საპატიო წევრად ირჩევს ლეიდენს. სიტყვები წარმოსთქვეს მრავალ უცხოელ დეპუტატებმა, მათ შორის რუსეთის საზოგადოების დეპუტატებმა; იყვნენ დეპუტატები ფინლანდიიდან და იაპონიიდანაც. ლეიდენმა ყველას მადლობა გადაუხადა.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ)

ბ) **ქუთაისიდან** ბაქო-ტფილისისაკენ 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის [illegible] ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
ᲙᲘᲝᲡᲙᲨᲘ,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოუმა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—ბოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

Денисовскiй

ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ
„ᲝᲓᲝᲑᲠᲘᲜᲘ“ მ. ვ. ლებედევისა.
ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჭეჭს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.
ისყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს.
(ნ. 25—2).

ტელეფონი № 741.
საათიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის
«მაღაზიებში»
1) სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლში; 2) მუხრანიანთ ქუჩაზე, ალხაზიშვილის სახლში.
საალდგომოდ
ისყიდება უვნებელი ფერად-ფერადი საღებავი კვერცხისათვის, საუკეთესო თვისების ზაფრანა, ვანილი და მისი ფხვნილი, ზეთი ვარდისა და ლიმონისა, ჯავზი და მისი ყვავილი. ჰილი და სხვა ყველა სუნნელება პასკისთვის.
აგრეთვე ახლად მივიღეთ საზღვარ-გარეთიდან და რუსეთიდან მრავალ-გვარი საპირფარეშო სხვა-და-სხვა სამკაული და პარფიუმერია (დუხი, ოდეკოლონი, საპნები და სხვ.).
ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

საყურადღებო განცხადება
თუმცა პასკებს (ბაბკებს) ბევრი აცხობს, მაგრამ ჯერ ბევრს კი არა აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელობა პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამოც მყიდველი ხშირად სტყუვდება. ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ
ᲐᲠ. ᲘᲕ. ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ
ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲘᲢᲔᲠᲝᲨᲘ
ვორონცოვის ძეგლთან
საალდგომოდ მზადდება დიდმალი პასკეები და «კულიჩები».
ჩემს სახელოსნოში პასკები საუკეთესო მასალიდან კეთდება და ყოველთვის საუცხოვო გემო აქვს, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება.
Дрожжевой заводъ К. ШУРЪ.
(2—1) პატივისცემით არ. ივ. ალიხანოვი.

Дозволено цензурою Тифлисъ, 8 Апрѣля 1902 года.
ელექტრონით მბეჭდავი ს.-მბ. წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.